საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 აპრილი, 2012 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/13

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე ,,სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2011 წლის 7 აპრილის 02/6904, წერილის, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ რსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, რსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 17 ივლისის №94 დადგენილების, დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამების „ორთოპედიული სტომატოლოგია“, „თერაპიული სტომატოლოგია“, „სამედიცინო რადიოლოგია“ დამტკიცების შესახებ რსუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 თებერვლის №14 დადგენილების, რსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის დ. ცეცხლაძის 2012 წლის 18 აპრილის №1204 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 12 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;

2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბშრსუ–ს კანცელარიაში 2012 წლის 18 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 12–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**